

საქართველოს კვების მრეწველობის  
სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოება



ГРУЗИНСКОЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО  
ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

---

მეღვინეობის მრეწველობის სექცია  
Секция винодельческой промышленности

პროფ. გ. ბერიძე

Проф. Г. И. БЕРИДЗЕ

მეცნიერების მიღწევები  
საქართველოს ღვინის  
მრეწველობაში

ДОСТИЖЕНИЯ НАУКИ В ВИНОДЕЛЬЧЕСКОЙ  
ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

თბილისი—1962—Тбилиси



საქართველოს კვიზის მრეწველობის  
სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО  
ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

მელვინეობის მრეწველობის სექცია  
Секция винодельческой промышленности

პროფ. გ. ბერიძე  
Проф. Г. И. БЕРИДЗЕ

მეცნიერების მიღწევები  
საქართველოს ღვინის  
მრეწველობაში

ДОСТИЖЕНИЯ НАУКИ В ВИНОДЕЛЬЧЕСКОЙ  
ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

F27-59813



საქართველოს მრეწველობის  
სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოება

თბილისი—1962—Тбилиси

საქ. მ. კ. 111

საქართველოს მრეწველობის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების გამომცემი

663.2(479.22)



საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

Handwritten number: 321.152 306

საქართველოს ენციკლოპედია



საქართველოს ენციკლოპედია

Зак № 1811

УЭ—03295

Тираж 1000

Типография х-зуправления СНХ Гр. ССР, г. Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 8.

ქართული ღვინის წარმოების ტექნოლოგიამ განვითარების ფართო ვზა განვლო „ერთნაირ“ სქემიდან თანამედროვე ტექნოლოგიურ სქემებამდე „ყველა ღვინისათვის“, რომელიც დიფერენცირებულია ღვინის ტიპისა და ნედლეულის მიხედვით.

ქართული მეღვინეობის განვითარების ისტორიულ წარსულზე ნათლად მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მეღვინეობის სრულყოფილი უძველესი მოწყობილობა, საიუველირო და ორნამენტული ხელოვნების დღემდე შემონახული ისტორიული ძეგლები, აგრეთვე ზეპირი ხალხური გადმოცემა და შემორჩენილი წესები, რაც ამტკიცებს საქართველოს ძველ მობინადრეთა მიერ ღვინის დაყენების ხელოვნების საკმაოდ კარგად ცოდნას.

საქართველოს ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების მრავალფეროვნებამ, აგრეთვე ქართველი ხალხის მიერ გაუმჯობესებულ ვაზის მდიდარმა ჯიშურმა ასორტიმენტმა და ისტორიულად გამომუშავებულ ღვინის დაყენების წესებმა, წინასწარ განსაზღვრა მევენახეობის მიმართულება — საღვინე ვაზის ჯიშების შერჩევითა და მრეწველობის განვითარებით.

1962 წლისათვის ვენახების ფართობმა 86.200 ჰექტარს მიაღწია, რაც მიწის საერთო ფართობის 4%, ხოლო დამუშავებული ფართობის 7,8% შეადგენს. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა მეღვინეობის მრეწველობა. აშენდა მრავალი ახალი მარანი, სარდაფი და მძლავრი წარმოება, რომლებიც აღჭურვილია ტექნიკის უახლესი მიღწევებით.

არსებულ საწარმოთა გაფართოებისა და ახალ საწარმოთა აგების შედეგად მათი წარმადობა 4,5-ჯერ გაიზარდა. თუ მეღვინეობის საწარმოთა სიმძლავრე 1950 წლისათვის 53 ათას ტონას შეადგენდა, 1960 წლისათვის 135 ათას ტონამდე გაიზარდა. 1965 წლისათვის კი ქარხნების საერთო სიმძლავრე აყვანილ უნდა იქნეს 330 ათას ტონამდე, ხოლო დასაძველებელი სარდაფების ტევადობა 6,5 მილ. დეკალიტრამდე. გათვალისწინებულია ახალ საწარმოთა მოდერნიზაცია და ყურძნის გადამამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში უწყვეტი



მოქმედების ხაზების დანერგვა; აგრეთვე ორდინალური ლენინური პირველად საწარმოებში, კასრების დიდი ტევადობის რკინა-ბეტონისა და ლითონის რეზერვუარებით შეცვლა. უახლოეს ხანში მოხდება სებარატორების დადგმა, ცენტროფუგების, მექანიზებული ხაზების მოწყობა, ღვინისა და კონიაკის ჩამოსასხმელად და გასაფორმებლად. ამენდება მრავალი პირველადი მეღვინეობის ქარხანა. დაგეგმილია ღვინოების დასაძველებელი დიდი სარდაფების აგება ყვარელში, კარდანახსა და ზესტაფონში. ყვარლის სარდაფი 2 მლ. დ/კ მოცულობით გამოკვეთილი იქნება კავკასიონის ქედის კალთების კლდეში.

ახლო მომავალში დამთავრდება ნატურალური ტკბილი ღვინოების ქარხნების მშენებლობა და მათი თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვა. სულ მოკლე ხანში აიგება კონიაკის სპირტის დასაძველებელი სათავსოები და ყურძნის წვენის წარმოების დიდი ქარხანა. ყველა მსხვილ ქარხანასთან შენდება ყურძნის ანარჩენების გადამამუშავებელი საამქროები.

მეღვინეობის მრეწველობის ფართო განვითარებასთან ერთად, ყოველწლიურად უმჯობესდება ქართული ღვინის ხარისხიც. უკანასკნელ შვიდწლედში საერთაშორისო კონკურსებზე და გამოფენებზე იუგოსლავიაში, უნგრეთში, მოსკოვსა და ბრიუსელში ქართულმა ღვინოებმა — 23 ოქროს, 43 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მიიღო. ქართული ღვინოები იგზავნება ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში, ფინეთში და მრავალ სხვა ქვეყანაში.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ვრცელი გეგმის დასახვასთან ერთად აუცილებელი გახდა ამ დარგში საკვლევი საქმის სათანადოდ გაშლაც. 1931 წელს ქ. თბილისში დაარსდა საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას მთელ საბჭოთა კავშირში. 1934 წ. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საკვლევ დაწესებულებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნული ინსტიტუტი გადაკეთდა ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტად, ხოლო შემდეგ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტად, რომელსაც საშუალება მიეცა უფრო ფართოდ გაეშალა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა საქართველოს მევენახეობის ძირითად რაიონებში.

მევენახეობის საკითხებზე კვლევით მუშაობას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის, მეღვინეო-



ბისა დას მევენახეობის კათედრები, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს კვების მრეწველობის ინსტიტუტი და მთელი რიგი სხვა სამეცნიერო საკვლევ დაწესებულებათა განყოფილებები და კათედრები.

ქართული მაღალხარისხოვანი ღვინოების საწარმოების დღევანდელი აღმავლობა მჭიდროდ დაკავშირებულია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და „სამტრესტის“ საქმიანობასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია, როგორც ახალი მარკის ღვინოების გამომუშავება, ისე დროთა ვითარებაში მივიწყებული ისტორიულად ცნობილი ღვინოების აღდგენა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებამ და მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტმა. ამ პერიოდში, რაც მთავარია, მოხდა ქართული სამარკო ღვინოების ადგილობრივი ტიპის (კახური, იმერული, ნატურალური ნახევრად ტკბილი, სადესერტო) ღვინოებით გამდიდრება, რომელთაგან აღსანიშნავია — „კარდანახი“, „ვარციხე“, „მანავის მწვანე“, „უსახელოური“, „ახოები“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „ატენური“ და სხვ.

ქართული სამარკო ღვინოების ჩამოყალიბების მეცნიერული და პრაქტიკული საფუძვლების გამომუშავებით თავი ისახელეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა: პროფესორებმა — ვ. პეტრიაშვილმა, გ. გოგოლ-იანოვსკიმ, კ. მოდებაძემ; ვ. ღვალაძემ, ს. ჩოლოყაშვილმა, ს. დურმიშიძემ, ა. ლაშხმა, გ. ბერიძემ, დოც. ნ. გელაშვილმა და სპეციალისტებმა — ზ. ჯორჯაძემ, ა. ეგოროვმა, მ. მასანომ, ვ. ტიებომ, ე. ნაკაშიძემ, პ. ავერკინმა, ტ. ბააკაშვილმა, ი. თარხნიშვილმა, გ. ვახვახიშვილმა, თ. მაჭავარიანმა, ვ. კანდელაკმა, ვ. ციციშვილმა, გ. მგალობლიშვილმა და სხვ.

მეღვინეობის დარგის მეცნიერულ კვლევითი საქმიანობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. კ. მოდებაძეს, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომელთაც აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

პროფ. კ. მოდებაძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ადგილობრივი ჯიშის დედობის გამოყოფა და მათი გამოყენების შესახებ საქართველოში“. მან პირველმა ადგილობრივი წმინდა კულტურები გამოიყვანა ციციქის, კრახუნასა და ოცხანური საფერეს ლექიდან და ფართოდ დანერგა წარმოებაში. შეისწავლა შორაპნის მაზრის, ჩრდი-



ლო-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილის ღვიხობები, რის საფუძველზედაც დასახა ღონისძიებანი ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქარის საკოლექციო ნაკვეთზე გამოიკვლია ვაზის სხვადასხვა ჯიშების (კრახუნა, ციცქა, ცოლიკოური, რქაწითელი, სემილიონა, სოვინიონი, რისლინგი, ზანტი, ოცხანური საფერე, საფერავი, კაბერნე და ალექსანდროული) ყურძნის ტკბილის ჯიშური შედგენილობა. მანვე დაადგინა თუ როგორ იცვლება ამერიკულ საძირეზე დამყნობილი და ადგილობრივი ვაზების სხვადასხვა ღვინოების შედგენილობა. აღნიშნული სამუშაო არ არის მოკლებული თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. პროფ. კ. მოდებაძემ თავის გამოკვლევებში დიდი ყურადღება დაუთმო ქართული ნახევრადტკბილი ღვინოების ტექნოლოგიას, რაც ასახული აქვს ნაშრომებში „ხვანჭკარის დაუღუღებლობის მიზეზი, მისი ტიპის ჩამოყალიბება და ღირსების გაუმჯობესების შესაძლებლობა“, რომელშიაც მოცემულია ძირითადი კონცეპციები აღნიშნული ტიპის ღვინის სრულყოფილი ტექნოლოგიისათვის. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია საქართველოს მეღვინეობის თვალსაზრისით დარაიონების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო შემდგომ სამუშაოებს აღნიშნული საკითხის უფრო ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით შესასწავლად.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. კ. მოდებაძეს ცქრიალა ღვინოების წარმოების განვითარებაში, აღნიშნულ საკითხზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი: „შამპანური წარმოების ახალი ნედლეულის ბაზა საქართველოში“, „პინოს გავრცელების მიზანშეწონილობა იმერეთსა და ქართლის რაიონებში“ და სხვ.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობას უძველესი ისტორია აქვს. პროფ. კ. მოდებაძემ ამ მნიშვნელოვან საკითხს მიუძღვნა ნაშრომი „მეღვინეობის საწყისები საქართველოში“, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება შორეულ წარსულში. ევროპული ტიპის ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დაყენებისას, კლერტის ფიზიკური და ქიმიური მოქმედების საკითხი, ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის დაყენების დროს მეღვინე სპეციალისტთა შორის ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა. ამ მნიშვნელოვან საკითხს მიუძღვნეს პროფ. კ. მოდებაძემ და დოც. გ. ბერიძემ ნაშრომი „კლერტის გავლენა ღვინის ხარისხზე“; მათ საწარმოო ცდებით დაადასტურეს, რომ კლერტი დურდოს გამოწურვისას უარყოფით გავლენას არ ახდენს ღვინის ხა-



რისხზე და, რომ ღურდოს დაწნეხვა კლერტიანად საგრძნობლად ზრდის ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და აჩქარებს გამოწეხვის პროცესს.

პროფ. კ. მოდებაძის და დოც. გ. ბერიძის ნაშრომში „სპილენძის როლი, მისი ოდენობა და წარმოქმნის წყარო ღვინოში“ გამოკვლეულია, რომ შეუწამლავ ვაზიდან მიღებულ ყურძნის წვენი სპილენძის ოდენობა მეათედ მილიგრამს არ აღემატება და დადუღების შემდეგ კი ღვინოში ამ ოდენობის მხოლოდ კვალაა რჩება; აგრეთვე განხილულია სპილენძის როლი, როგორც დამკანგავ კატალიზატორისა ღვინის დამწიფება-დაძველების პროცესთან დაკავშირებით, დადგენილია ღვინოში ძირითადი შემტანი წყარო და მისი მოცილების ძირითადი საშუალებანი. ამავე შრომაში დასმულია საკითხი ღვინოში სპილენძის დასაშვები ნორმების გადახედვის შესახებ.

ფრიად აქტუალური საკითხი აქვთ განხილული პროფ. კ. მოდებაძესა და დოც. გ. ბერიძეს შრომაში — „რკინის გავლენა და მისი ღვინოში შემტანი წყაროები“. სახელდობრ, ჩატარებული ცდების შედეგად დამტკიცებულია, რომ ღვინოში რკინის დაგროვებას ძირითადად იწვევს ის მანქანა იარაღები, რომლებიც გამოიყენება ყურძნის გადამუშავების და ღვინის მოვლა-პატრონობის დროს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნულია აგრეთვე, რომ მცირე ოდენობით ღვინო რკინას იძენს იმ სათავსოებში, რომელიც უხარისხო ცემენტით არის მოპირკეთებული.

მრავალწლიური მუშაობის შედეგად გამოკვლეულია საქართველოს მეღვინეობის რაიონები ენოლოგიის მხრივ, ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე ჩატარებულია დარაიონება საწარმოო მიმართულებისა და პროდუქციის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. შესწავლილია ძვირფასი სამრეწველო ვაზის ჯიშები (რქაწითელი, მწვანე, საფერავი, კაბერნე, ხიხვი, ალიგოტე, ჩინური, პანო, გორული მწვანე, ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ალექსანდროული, უსახლოური, ჩხავერი და ოჯალეში) ბიოქიმიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვალსაზრისით (ს. ღურმიშიძე, გ. ბერიძე).

შემუშავებულია კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დამზადების ახალი ტექნოლოგიური ხერხი, ფერმენტირებული ჭაჭის გამოყენების საშუალებით. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ჭაჭის წინასწარი ფერმენტაცია იწვევს არომატული რივის ფენოლების, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებათა ცვლილებებს ყურძნის მტვერის შემადგენელ ნაწილებში, რის შედეგადაც ღვინო უფრო





არომატული, ჰარმონიული და ხარისხოვანი დგება (გ. ბერიძე). დედა-  
 ნო. მდიდრდება ფერმენტული დაშლის ძვირფასი პროდუქტებით.

შესწავლილია ვაზის დატვირთვის გავლენა კახური ტიპის ღვა-  
 ნის ხარისხზე. დადგენილია, რომ ვაზის ძლიერი დატვირთვის დროს  
 ყურძნის შემადგენელ ნაწილებში ტანიდები ჰარბადაა და ღვინის  
 სპირტიანობა მით უფრო დიდია, ხოლო მყავიანობა მცირე, რამდენა-  
 დაც დატვირთვა სუსტია.

ღვინის ქიმიურ შედგენილობაზე ვაზის დარგვის ოპტიმალური  
 სიხშირის გავლენის საკითხის შესწავლის შედეგად დადგენილია,  
 რომ სპირტის შეცულობა უკუპროპორციულია დარგვის სიხშირეს-  
 თან, ხოლო ტანიდების, ტიტრული მყავიანობის და ღვინის მყავა  
 შეცულობა პირდაპირ პროპორციულია (გ. ბერიძე).

საქართველოში ფართო პერსპექტივები აქვს დასახული შამპან-  
 ნურ წარმოებას. ამ მიმართულებით მეცნიერ მუშაკებმა წარმოების  
 მუშაკებთან ერთად ჩაატარეს მრავალმხრივი კვლევა იმ რესურსე-  
 ბის შესასწავლად, რაც საქართველოს გააჩნია ხარისხოვანი პროდუქ-  
 ციის მისაღებად. მუშაობის შედეგად (გ. ბერიძე, კ. მოდებაძე, ვ. დე-  
 მეტრაძე, ვ. კინწურაშვილი, ნ. გელაშვილი, ა. სირბილაძე და სხვ.)  
 შამპანური წარმოებისათვის გამოყოფილია ფართობები ზემო ქართ-  
 ლსა და ზემო იმერეთში. საწარმოო ყურძნის ჯიშებად საქართველო-  
 ში აღიარებულია: ციცქა, ალიგოტე, ჩინური და პინო. ყურადღებას  
 იმსახურებს აგრეთვე რქაწითელი და კაპისტონი. უკანასკნელი ორი  
 ათეული წლის განმავლობაში საქართველოში შექმნილია შამპანური  
 წარმოების მძლავრი ტექნოლოგიური ბაზა.

ქართული ღვინოების მრავალფეროვან ასორტიმენტში განსა-  
 კუთრებული ადგილი უჭირავს ნატურალურ ტკბილ ღვინოებს, რო-  
 მელთაც საბჭოთა კავშირის ღვინის მრეწველობაში თვალსაჩინო ად-  
 გილი უკავია. სპეციფიკურ თვისებას ამ ღვინოებს სძენს, როგორც  
 ყურძნის ბუნებრივი ღირსება. ისე ხალისიანი სიტკბო და სასიამოვნო  
 მყავიანობა სპეციფიკური ჯიშური სურნელებითა და გემოთი. ხვან-  
 ჭკარისა და უსახელოურის ღვინოებში სინაზე მყდვენდება, ქინძმა-  
 რაულისა და ოჯალეშის ღვინოებს ძალოვნება ახასიათებს. ეს ღვი-  
 ნოები ერთი მეორისაგან განსხვავდება სხეულით, ფერით, სინაზით,  
 სიხალისითა და ჯიშური არომატით. ამ ღვინოებს მცირე სიტკბო  
 ალამაზებს და აკეთილშობილებს, რითაც ისინი მომხმარებელთა დიდ  
 მოწონებას იმსახურებს. აღნიშნული ტიპის ღვინოების საწარმოო  
 მნიშვნელობით დამზადება მხოლოდ დიდი სამამულო ომის პერიოდ-




ში დაიწყო. ნატურალური ტკბილი ღვინოების (ხვანჭკარა, ლოური, ქინძმარაული, ახაშენი, ახმეტა, ჩხავერი, ტვიში და სხვ.) წარმოების ტექნოლოგიის დარგში დიდი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ჩატარებული პროფ. კ. მოდებაძის, პროფ. გ. ბერიძის, ტექნ. მეცნიერებათა კანდიდატების — ვ. კინწურაშვილის, პ. ჯაფარიძის, გამოჩენილ სპეციალისტების ა. ბერუჩაშვილის, პ. ხეცურიანის, გ. გაბისიანისა და სხვ. მიერ.

ქართული სადესერტო ღვინოების წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს და უშუალოდ დაკავშირებულია მეღვინე ვ. კანდელაკის სახელთან. ორი ათეული წლის მანძილზე მის მიერ ისწავლებოდა ყურძნის ადგილობრივი ჯიშები სადესერტო-ლიქიორული ტიპის ღვინოებისათვის, მანვე შეიმუშავა ამ კატეგორიის წარმოების ტექნოლოგიური წესები და კონდიციები. ამ ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ფართო მუშაობა წარმოებს საქართველოს მეზღვრობა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში (პროფ. გ. ბერიძე, ტექ. მეცნ. კანდიდატი დ. ნაცვლიშვილი) დადგენილია საქართველოში ხერესის ტიპის ღვინის მიღების საშუალებანი (პროფ. პ. გერასიმოვი).

კახური ტიპის ღვინოების თავისებურებათა შესწავლითა და ნედლეულის ბაზის გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებაში პროფ. გ. ბერიძემ, ტექნ. მეცნ. კანდ. ა. სესიაშვილმა და სხვებმა, რომელთა შრომებში განხილულია კახური ტიპის ღვინოს ტექნოლოგიის მთელი რიგი საკითხებისა.

მეღვინეობის წარმოებაში ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის შაქრიანობა-სპირტიანობის ბალანსის შედგენის დასაბუთებული მეთოდი. ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დადგენილია ყურძნის მისი ტკბილისა და ჭაჭის შაქრიანობას შორის ურთიერთ დამოკიდებულება. 1954—55 წლებში გამომუშავებული იქნა უწყვეტ ნაკადად ტკბილის დუღილის სქემა, ამ სქემის ტექნიკურად განხორციელების ინსტრუქცია და ბატარეის მუშაობის რეჟიმი (ტექ. მეცნ. კანდიდატი დ. გიაშვილი).

შემუშავებულია ღვინომასალების დამწიფების დაჩქარების მეთოდი (ტექნ. მეცნ. კანდიდატი ნ. მაჭავარიანი). აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ღვინომასალის დამუშავებას ფიზიკურ-ქიმიური საშუალებებით, რითაც მიღწეულია დამწიფების დაჩქარება და პროდუქციის სტაბილურობა. შემუშავებულია ტკბილის სტერილიზაცი-



ის ტექნოლოგია გაიშვიათებულ არეში, რითაც საგრძნობლად ვაუმჯობესებელია მისი ხარისხი და კვებითი ღირსება (ტექნ. მეცნ. კანდიდატი ნ. მაჭავარიანი).

მრავალწლიური ცდების შედეგად დამუშავებულია დანაკარგების ნორმები შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. სარდაფის პირობებისათვის შესაძლებელია შემცირდეს ამჟამად მოქმედი ღვინის დანაკარგების ნორმები მუხის ბუტებში შენახვისას 10%-ით.

2. ღვინის საშუალო დანაკარგები კასრებში შენახვისას, სარდაფის პირობებისათვის არა რეალურია, საჭიროა აღნიშნული ნორმების გაზრდა 15%-ით.

3. ღია ცის ქვეშ კასრებში მოთავსებული ღვინის ფაქტიური დანაკარგების საშუალო საგრძნობლად აღემატება დაწესებულ დანაკარგების ნორმების საშუალოს. ამიტომ წარმოების დღეებანდელ პირობებში საჭიროა ღვინის დანაკარგების არსებული საშუალო ნორმებიც გაიზარდოს 15%-ით (ტექნ. მეცნ. კანდიდატი ნ. მაჭავარიანი).

შესწავლილია საქართველოს სუფრის თეთრ ღვინოებს მოდებული სიმღვრივის სახეები და დადგენილია, რომ სიმღვრივის სახეთა შორის ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით ცილოვან სიმღვრივეს, შემდეგ ლითონურ სიმღვრივეს, კრისტალურ და ბიოლოგიურ სიმღვრივეს და ა. შ.

ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა სიმღვრივის სახეთა გამოცნობის მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა ადვილად იქნეს დადგენილი სიმღვრივის ესა თუ ის სახე და მისი გამოწვევი მიზეზები (მეც. მუშაკი გ. გუჯეჯიანი).

ცილოვანი და ლითონური სიმღვრივის თავიდან აცილების მიზნით გამოყენებულ იქნა კათიონმცვლელი ფისი KY — 2, წყალბადისა და ნატრიუმის ფორმაში, რომელსაც უნარი აქვს მოაცილოს ღვინოს ჭარბი აზოტოვანი ნივთიერებანი და მძიმე ლითონები (რკინა, სპილენძი), რომელთა მოცილების შედეგად ღვინო სტაბილური ხდება (მეც. მუშაკი გ. გუჯეჯიანი).

მელვინობაში კათიონმცვლელი ფისების გამოყენების გამო შემუშავებული იქნა ღვინოში სპილენძის განსაზღვრის მეთოდი (პროფ. გ. ბერიძე და გ. გუჯეჯიანი), რკინის განსაზღვრის მეთოდი და ღვინის დამუშავებისათვის საჭირო კათიონმცვლელი ფისის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი (მეც. მუშაკი გ. გუჯეჯიანი).




საშამპანურე ღვინომასალების სიცივით დამუშავების ნაცვლიდ გამოყენებულია კათიონმცვლელი ფისი  $KY-2$ ;  $H^+$ -ის ფორმაში. კათიონიტის საშუალებით შესაძლებელი გახდა სწრაფად და იაფად ღვინიდან ღვინომჟავა მარილების მოცილება და ამრიგად თავიდან ავიცილინოთ პროდუქციის ამღვრევა. საშამპანურე ღვინომასალების  $H^+$  ფორმაში არსებული კათიონიტით დამუშავების შედეგად ხდება ღვინის ტიტრული მჟავიანობის გაზრდა, რაც საგრძნობლად ამცირებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სრულად გამორიცხავს შამპანურის წარმოებაში ლიმონმჟავას გამოყენების აუცილებლობას.

შესწავლილი იქნა აგრეთვე კათიონმცვლელი ფისით სხვადასხვა პირობებში დამუშავებული ღვინის ქიმიური შედგენილობის ცვლილება. ცდებით დადგენილი იქნა, რომ კათიონმცვლელ ფისით ღვინის დამუშავების დროს ქიმიური შედგენილობის ცვლილება დამოკიდებულია ღვინის დასამუშავებლად აღებულ კათიონიტის გაცვლით მოცულობაზე, იონმცვლელ სვეტის დიამეტრზე და იონმცვლელ სვეტში ღვინის გატარების სიჩქარეზე. ერთ-ერთი ამ პარამეტრის ცვლილება იწვევს დამუშავებული ღვინის რაოდენობისა და მისი ქიმიური შედგენილობის ცვლილებას (მეც. მუშაკი თ. კანდელაკი).

შემუშავებული იქნა ღვინოში კალიუმის განსაზღვრის კოლორიმეტრული მეთოდი, რაც შემდეგში მდგომარეობს: ღვინოში არსებულ კალიუმის დალექვას ვახდენთ ნატრიუმკობალტნიტრატით და ვღებულობთ კობალტნიტრატის ნატრიუმისა და კალიუმის ყვითელი ფერის ნალექს, რასაც ვრეცხავთ ეთილის სპირტით. მიღებულ სუფთა ნალექს ვხსნით მდუღარე წყალში აბაზანაზე. ნალექის გახსნის შედეგად მიიღება უფერული ხსნარი, რომელიც შედგება ნიტრიტების ნარევისაგან. ხსნარში ნიტრიტების განსაზღვრა ხდება კოლორიმეტრული მეთოდით, რომელიც დამყარებულია ყვითელი შეფერვის მიღებაზე სულფანილმჟავისა და ფენოლის საკვლევ ხსნარზე დამატების საშუალებით. ამ დროს წარმოიქმნება დიაზოტირებული სულფანილმჟავა, რაც უერთდება ფენოლს  $4$ —სულფო— $4$ —ოქსიაბობენზოლის წარმოქმნით. ეს უკანასკნელი ლებულობს ყვითელ შეფერვას, რის ინტენსივობაც საკვლევ ხსნარში ნიტრატების შეცულობას შეესაბამება, მიღებული ნიტრატები კი საანალიზო ღვინის ნიმუშში კალიუმის რაოდენობის პროპორციულია (მეც. მუშაკი თ. კანდელაკი).

დადგენილ იქნა, რომ საშამპანურე ღვინომასალების კათიონმცვლელი ფისით დამუშავებით ტარტრატული სტაბილურობის მი-



საღწევად საკმარისია ღვინოში დავტოვოთ 600 მგრ/ლ კალიუმის ნორმალურ ორგანოლექტიკური მაჩვენებლების შენარჩუნების პარალელურად განაპირობებს ღვინის სტაბილიზაციას ღვინომკვავა მარილების გამოლექვის მიმართ (მეც. მუშაკი თ. კანდელაკი).

შესწავლილია საშამპანურე ღვინომასალების კათიონმცვლელი ფისით დამუშავების დროს კალიუმის შთანთქმის დინამიკა. დადგინდა იქნა, რომ იონმცვლელ სვეტში ღვინის გატარება უნდა ხდებოდეს კათიონიტის გაცვლითი მოცულობის მთლიან გამოყენებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მცირდება დამუშავების ეფექტი (მეც. მუშაკი თ. კანდელაკი).

ქართლის მეღვინეობის რაიონების ენოლოგიის შესწავლით გამოკვლეულია სხვადასხვა ტიპის ღვინოების ქიმიური შედგენილობა. ჩატარებულია ქართლის დარაიონება ღვინის ტიპების მიხედვით (მეც. მუშაკი რ. ნამგალაძე). შემუშავებულია ქართლის ღვინის ტიპის რაციონალური ტექნოლოგია, დადგენილია ტკბილის ალკოჰოლური დუდილის პროცესში ჭაჭის და ჩენჩოს დასამატებელი დოზის ოდენობა (40%) და ჭაჭაზე ღვინის დავარგების ოპტიმალური ვადები (პროფ. ბერიძე., მეც. მუშაკი რ. ნამგალაძე).

გეოგრაფიული ზონების მიხედვით (გულაუთი 8 მ ზღვის დონიდან, საქარა 159 მ, დილომი 402 მ, თელავი 520 მ), შესწავლილია სასუფრე ყურძნის ჯიშებში (ხალილი, ქართული საადრეო, ეზანდარი, წითელი ბუდეშური, საფერავი ბუდეშურისებური, განჯური, ხარისთვალა, ცხენის ძუძუ, ამლახუ, კლარჯული და მარსანბლანი) ვიტამინების შეცულობა, რაც შემდეგნაირად ცვალებადობს — C 2,41 მგ%-დან 5,36 მგ%-დე, B<sub>1</sub> — 0,031 მგ%-დან 0,526 მგ%-დე და B<sub>12</sub> — 0,0004 გ—0,008 გ. ვიტამინების მაღალი შეცულობით ხასიათდება შემდეგი სასუფრე ყურძნის ჯიშების შექადგენელი ნაწილები სახელდობრ: ვიტამინი C ყველაზე ჭარბად დაგროვილია ახლადგამოსულ კვირტში, ფოთოლსა და ყვავილში. კლერტი ნაყოფთან შედარებით უფრო მეტ ასკორბინის შეყვას შეიცავს. C ვიტამინის რაოდენობა იცვლება ვაზის განვითარების ფაზების მიხედვით, მისი დაგროვება ხდება ახლადგამოსულ ფოთოლში, შემდეგ კი ქრება და სრული სიმწიფის პერიოდში ისევ წარმოიქმნება. C ვიტამინი მეტი რაოდენობითაა ყვავილში და ისვრიმში, კლერტი კი მას ფოთოლთან შედარებით ყველა ფაზაში მცირე რაოდენობით შეიცავს. უფრო მცირე რაოდენობითაა (2,73=5,3 მგ%) მწიფე ნაყოფში (მეცნიერი მუშაკი რ. ნამგალაძე).

დუღილის ენერგიაზე და ახალგაზრდა სუფრის ღვინოების რისხზე სხვადასხვა ფიზიკური აგენტების გავლენის შესწავლით დადგენილია:

500—905 კგც სიხშირისა და 3 ვატ/სმ<sup>2</sup> ინტენსივობის ულტრაბგერებით ყურძნის წვენის წინასწარმა დამუშავებამ გვიჩვენა, რომ დამუშავების საწყისი ექსპოზიციის დროს 30 წუთამდე  $D=1 \div 1,3$  ვატ-წუთი/სმ<sup>3</sup> არ ხდება ყურძნის წვენში შეტანილი საფუერების *Sach. vini* რასა კახური 42) ცხოველმოქმედების შესუსტება და იგი გავლენას არ ახდენს დუღილის ენერგიაზე. დამუშავების ექსპოზიციის 120 წუთამდე ( $D=5 \div 7,2$  ვატ. წუთი, სმ<sup>3</sup>) გახანგრძლივებისას შემჩნეული იქნა ყურძნის წვენში შეტანილი საფუერების დუღილის ინტენსივობის შესუსტება.

1,2 ვატ/სმ<sup>2</sup> ინტენსივობის ულტრაბგერით 30 წუთი ექსპოზიციის დროს ( $D=0,7$  ვატ. წუთ/სმ<sup>3</sup>) დამუშავებული საფუერების წმინდა კულტურის ყურძნის წვენში შეტანის შედეგად შემჩნეული იქნა ყურძნის წვენის უკეთესად დადუღება, ალკოჰოლის გამოსავლიანობის გაზრდა და დუღილის საბოლოო პროდუქციის უკეთ დაწმენდა. აქედან გამომდინარე, ულტრაბგერების დაბალი დოზით დამუშავება დადებით გავლენას ახდენს საფუერების ცხოველმოქმედებაზე (მეც. მუშაკი თ. დერბენევა).

ულტრაბგერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა კავიტაცია, რის გამოც ხდება სპირტიანი სასმელების მიერ ენერგიის შთანქმეა. ეს მოვლენა იწვევს იმ ქიმიურ რეაქციის დაჩქარებას, რაც ახდენს ღვინის დამწიფებას.

დამწიფების დრო დიდადაა დამოკიდებული ღვინის ტიპზე.

500 კგც სიხშირისა 1,2 ვტ სმ<sup>2</sup> ინტენსივობის ულტრაბგერით კახური და ევროპული ტიპის თეთრი ღვინოების დამუშავებისას, როდესაც ექსპოზიციას 60 წუთამდე ვზრდით ( $D=0,96 \div 1,2$  ვტ. წუთი/სმ<sup>3</sup>) შემჩნეული არ ყოფილა ღვინის ხარისხის ცვლილება.

დამუშავების ექსპოზიციის 120 წუთამდე ( $D=1,8 \div 2,1$  ვატ წუთი/სმ<sup>3</sup>) გახანგრძლივების გამო კახური ტიპის ღვინოებში შემჩნეულია ტანინის ტიტრული მჟავიანობისა და საერთო ექსტრაქტის შემცირება, რაც შეეხება ევროპული ტიპის ღვინოებს, მათში ღვინის მჟავას საერთო რაოდენობის შემცირება აღინიშნა.

ულტრაბგერით კახური ტიპის ღვინოების დამუშავებისას შექმნილია ვაშლმყავას რაოდენობის შემცირება, ეს ნათლად ჩანს ქრომატოგრაფიული ანალიზიდან, რაც მოწმობს კახური ტიპის ღვინოების დავარგების დაჩქარებას.

3—4 ვატ/სმ<sup>2</sup> ინტენსივობის და 180 წუთიანი ექსპოზიციით ( $D = 7,2—8,8$  კვ. წუთი/სმ<sup>2</sup>) ევროპული და კახური ტიპის ღვინოების დამუშავების შედეგად შემჩნეულია არასასურველი ტონის წარმოქმნა, რაც ღვინის ზედმეტად დაჟანგვით აიხსნება (მეც. მუშაკი თ. დერბენევა).

35.10<sup>6</sup>—52.10<sup>6</sup> მგ/სმ<sup>2</sup> დოზის ულტრაიისფერი სხივებით დამუშავებული 1% საფუვრების სუსპენზიის სტერილურ ყურძნის წვენში შეტანის შემდეგ ერთი დღის განმავლობაში დუდილის დაწყება შემჩნეული არ ყოფილა. ეს გავლენა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ულტრაიისფერი სხივები აფერხებს საფუვრების ცხოველმოქმედებას და იწვევს საფუვრების უჯრედების გადაგვარებას. ერთი დღის შემდეგ კი იწყება საფუვრების აქტივაცია და მძაფრი დუდილი. დუდილის მთელ პერიოდში გამოყოფილი CO<sub>2</sub> გაცილებით მეტი იყო, საკონტროლო ნიმუშთან შედარებით. მორფოლოგიური ანალიზით დადგენილ იქნა, რომ ულტრაიისფერი სხივებით დამუშავებული საფუვრების უჯრედები იცვლის გარეგან ფორმასა და ფერს, რაც ულტრაიისფერ სხივების დოზის პირდაპირ პროპორციულია.

52.10<sup>6</sup> მგ/სმ<sup>2</sup> დოზის ულტრაიისფერ სხივებით ევროპული და კახური ტიპის თეთრი ორდინალური ღვინოების დამუშავებისას შემჩნეულია ღვინის ხარისხის გაუარესება. (მეც. მუშაკი თ. დერბენევა).

მაღალი სიხშირის დენით ( $f = 3,75—27$  მგც) ნახევრადტკბოლი და სადესერტო ღვინოების დამუშავების შედეგად აღინიშნა, რომ საწყისი ექსპოზიციების დროს (20 წუთამდე) უმჯობესდება ღვინის ხარისხი. განსაკუთრებით შესამჩნევია მაღალი სიხშირის დენის დადებითი გავლენა სადესერტო ღვინოებზე.

მაღალი სიხშირის დენით ( $f = 27$  მგც,  $T = 30—65$ ) დამუშავებული სადესერტო ღვინოების დავარგება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე საკონტროლო ნიმუშებისა (მეც. მუშაკი თ. დერბენევა).

წლების მანძილზე ისწავლებოდა სამხრეთ ოსეთის მეღვინეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. გამოვლენილია სამხრეთ-ოსეთის ბუნებრივი პირობების შესაბამისი პერსპექტიული ვაზის ჯიშები სამამპანურე ღვინომასალების მისაღებად და უჭაჭოდ სუფრის ღვინის დასაყენებლად. ჯიშები ჩინური, გორული მწვანე, პინო, რქა-

წითელი და ალიგოტე მაღალხარისხოვან საშამპანურე ღვინოების  
ლებს იძლევა ცხინვალისა და ლენინგორის რაიონებში, ხოლო ზნაუ-  
რის რაიონში მათგან მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოები მიიღება.

ცხინვალის რაიონის თამარშენისა და ერედვის მიკრორაიონებ-  
ში შვებულებით ხარისხოვან სუფრის ღვინოებთან ერთად ხარისხოვან  
საშამპანურე ღვინომასალებს იძლევა (პროფ. გ. ბერიძე, ტექნ. მეცნ.  
კანდიდატი ა. სირბილაძე).

კახეთში გავრცელებულია პერსპექტიული ვაზის ჯიშები სამარ-  
კო და ორდინალური ღვინოების მისაღებად, ამ მხრივ პერსპექტიუ-  
ლია—ქისი, ჩიტისთვალა და გრძელმტევანა (პროფ. გ. ბერიძე, ტექნ.  
მეც. კანდიდატი ა. სირბილაძე).

კონიაკის სპირტისა და თვით მზა კონიაკის ხარისხის გაუმჯობე-  
სებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის ჯიშების შერჩევას. ამ  
საკითხს მიეძღვნა ნაშრომი „კონიაკის წარმოებისათვის ზოგიერთი  
ვაზის ჯიშის გამოცდის შედეგები (პროფ. გ. ბერიძე, ტექ. მეც. კან-  
დიდატი, ა. სირბილაძე და ინჟ. ტექნოლოგი ლ. შესხი).

ექსპერიმენტული მასალების თანახმად კონიაკის წარმოებისა-  
თვის პერსპექტიული ვაზის ჯიშებად შესაძლებელია ჩაითვალოს—  
რქაწითელი, ციცქა, ცოლიკოჭური, თეთრი—კუმსი ბუერა და ყლია.  
აღნიშნული ჯიშების ყურძნიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქარ-  
თველოში დამზადებული ღვინომასალებიდან მიღებული სპირტები  
მუხის კასრებში სათანადოდ დაძველების შემდეგ შესაძლებელია გა-  
მოდგეს ორდინალური და სამარკო კონიაკების დასამზადებლად, რის-  
თვისაც შესწავლილია ღვინის ტიპის გავლენა კონიაკის სპირტის  
ხარისხზე. შილდის კონიაკის სპირტის პირველადი ტექნოლოგიის  
ქარხანაში შარანტის წესით გამოიხდა ერთსა და იმავე დღეს რქა-  
წითელიდან დამზადებული კახური და ევროპული ტიპის ღვინოები.  
მიღებული სპირტების დაძველებიდან მიმდინარე ქიმიური ორგანო-  
ლექტიკური ცვლილებების შესწავლით გამოირკვა, რომ ევროპული  
ტიპის ღვინიდან მიღებული კონიაკის სპირტი საწყისიდანვე ნაზია,  
ცოცხალი და სასიამოვნო, იგი დაძველებისას სამი წლის განმავლო-  
ბაში მაღალ გემურ თვისებებს ინვითარებს და ხარისხით უკეთესია,  
ვიდრე კახური წესით დამზადებული ღვინის სპირტები, მაგრამ სამ  
წელზე უფრო მეტი ხნით დაძველებისას აღნიშნული განსხვავება  
თანდათან ისპობა.





კახური წესით დამზადებული ღვინიდან მიღებული სუპერალკოჰოლი  
 ოთხე-მეხუთე წელს ძლიერ ბუკეთს ინვითარებს და პერსპექტიუ-  
 ლია, როგორც ხარისხოვანი მასალა სამარკო კონიაკების დასამზა-  
 დებლად.

ორდინალური სამვარსკვლავიანი კონიაკის დასამზადებლად  
 ევროპული წესით მიღებული ღვინის მასალა სასურველ შე-  
 დეგს იძლევა, ასეთივე შედეგს გვაძლევს იგი სამარკო კონიაკების  
 მისაღებად. კახური წესით დამზადებული ღვინო კი ნაკლებად საიმე-  
 დოა სამვარსკვლავიანი კონიაკებისათვის, რადგანაც მისგან მიღებუ-  
 ლი სპირტი უხეში და მეტად ცხარეა. კახური წესით დამზადებული  
 ღვინისაგან მიღებული სპირტი უნდა დაძველდეს მხოლოდ სამარკო  
 კონიაკების მისაღებად (ტექ. მეც. კანდიდ. ა. სირბილაძე).

შესწავლილია ალკოჰოლური დუდილის პროცესში ამინომჟავე-  
 ების და პეპტიდების გარდაქმნები ღვინის სამი სხვადასხვა წესით და-  
 ყენების დროს. თანამედროვე კახური წესი ყურძნის ტკბილის დუ-  
 დილი მთელ დურდოზე, ძველი კახური წესი ყურძნის ფეხით დაჟყ-  
 ლეტა, ტკბილის მოცილება და 24 საათის შემდეგ მისივე ჭაჭის  
 მთლიანად მიცემით და ახალი ტექნოლოგიით ტკბილის დუდილი  
 ფერმენტირებულ ჭაჭაზე.

გამოირკვა, რომ ძველი და თანამედროვე წესით დამზადებულ  
 ღვინოებში დუდილისა და დაძველების პერიოდში უფრო მეტი ამი-  
 ნომჟავები გროვდება, ვიდრე ახალი ტექნოლოგიით დამზადებულ  
 ღვინოში.

დუდილის ინტენსივობა და აზოტის ასიმილაცია საფუერების  
 მიერ ძლიერ იზრდება ტკბილში ფერმენტირებული ჭაჭის მიმატები-  
 სას.

ყველა წესით დამზადებულ ღვინოში საფუერებით ხდება ტკბილ-  
 ში არსებული ამინომჟავებისა და პეპტიდების ასიმილაცია.

მძაფრი დუდილის დამთავრების შემდეგ ტკბილში შესამჩნევი  
 რაოდენობით რჩება მხოლოდ პროლინი.

საფუერებზე და ჭაჭაზე გაჩერებისას ღვინოში თანდათანობით  
 ჩნდება მთელი რიგი ამინომჟავებისა და პეპტიტებისა. ქრომოტა-  
 გრაფიულ მეთოდის გამოყენებით კახურ ღვინოებში ნახულია შემ-  
 დეგი ამინომჟავები: პროლინი, ამინოერბოს მჟავა, გლიკოკოლი,  
 ალანინი, ვალინი, ლეიცინი, ასპარაგინის მჟავა, გლუტამინის მჟავა და  
 სერინი (გ. ბერიძე, ე. ბეზინგერი, მ. სირბილაძე და სხვ).



დაზუსტდა რქაწითელის ყურძნის წვენში არსებულ თავისუფალ ამინომჟავათა შედგენილობა. აღმოჩნდა — 18 ამინომჟავა — ცისტინი, ორნიტინი, ლიზინი, გისტინი, არგინინი, ასპარაგინის მჟავა, ტრონინი, ალანინი, ტიროზინი, ტრიპტოფანი, ვალინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, მეთიონინი, ფენილალანინი, რომელთაგან დიდი რაოდენობითაა: არგინინი, პროლინი და ალანინი. (პროფ. გ. ბერიძე და მეც. მუშაკი მ. სირბილაძე).

შესწავლილია საფერავის, მწვანესა და რქაწითელის ჯიშებში აზოტოვან ნივთიერებათა ცვალებადობა (საერთო აზოტი, ცილოვანი, არაცილოვანი, ამინო, თავისუფალ ამინომჟავათა, პეპტიური აზოტი) ვეგეტაციის პერიოდში (მეც. მუშაკი მ. სირბილაძე).

გამოიჩვენა, რომ ვახის ორგანოებში (ფესვი, რქა, ფოთოლი, წიპწა, კანი, კლერტი) აზოტოვანი ნაერთები ძლიერ ცვლილებებს განიცდის ვეგეტაციის პერიოდში.

სამივე ჯიშის რქაში ტირილის პერიოდში სიმწიფის პერიოდამდე აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა კლებულობს. შემდგომ კი ჯიშების მიხედვით სხვადასხვანაირი კანონზომიერებით იცვლება.

ფესვში აზოტოვანი ნივთიერებანი ვეგეტაციის პერიოდში ისეთივე ცვლილებებს განიცდის, როგორც რქაში.

ფოთოლში აზოტოვან ნივთიერებათა მაქსიმუმია ვეგეტაციის დასაწყისში, შემდგომში კი განუწყვეტილვ კლებულობს. კლება შესამჩნევია ისრილობის პერიოდის შემდეგ.

წიპწაში აზოტოვანი ნივთიერებანი სიმწიფის დასაწყისამდე იზრდება, ხოლო სიმწიფის პერიოდისათვის მცირდება.

კანში ვეგეტაციის პერიოდში საერთო აზოტი, ცილის, თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი განუწყვეტილვ იზრდება, ხოლო ამინო და პეპტიდური აზოტი კლებულობს.

კლერტში ისევე, როგორც კანში ვეგეტაციის პერიოდში თავისუფალი ამინომჟავათა აზოტი იზრდება, ხოლო პეპტიდური და ამინო აზოტი კლებულობს.

სიმწიფის პერიოდში წყალში ხსნად აზოტოვან ნივთიერებებს საფერავის მტევნის ნაწილები უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს ვიდრე მწვანე და რქაწითელი. საერთო და ცილის აზოტი კი ყველაზე მეტია მწვანეში, ხოლო ნაკლები საფერავში.

სიმწიფის პერიოდში ყურძნის მტევნის ნაწილებში აზოტოვანი ნივთიერებანი სხვადასხვა რაოდენობით არის მოცემული:

K 321.132  
30V



კლერტი წყალში ხსნად აზოტოვან ნივთიერებებს უფრო მეტად  
რაოდენობით შეიცავს, ვიდრე კანი და წიბა, პეპტიდური აზოტი  
ყველაზე მცირე რაოდენობითაა კანში. საერთო და ცილის აზოტი  
მეტია წიბაში, ვიდრე კლერტსა და კანში.

ვაზის ყველა ორგანოში პეპტიდების ძირითადი შემადგენელი  
ნაწილია გლუტამინის მჟავა.

ქრომოტოგრაფიული განსაზღვრის თანახმად ვაზის ნაწილებშია  
შემდეგი ამინომჟავები: ცისტინი, ლიზინი, გისტიდინი, ორნიტინი,  
არგინინი, ასპარაგინის მჟავა, სერინი, გლიკოკოლი, გლუტამინის მჟა-  
ვა, ტრეონინი, ალანინი, პროლინი, ამინოვებოს მჟავა, ტიროზინი,  
მეთიონინი, ვალინი, ფენილ-ალანინი, ლეიცინი, იზოლეი-  
ცინი, გლიკოკოლი. ფესვში ტირილის პერიოდში არ აღმოჩენილა,  
არც არგინინი იყო ცრემლის შედგენილობაში—ტირილის პერიოდ-  
ში, არგინინი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამარგო ორგანოებში.  
ალანინით ძლიერ მდიდარია ფოთლები ვეგეტაციის დასაწყისში.  
პროლინი და არგინინი გლუტამინის მჟავა თავისუფალი სახით დიდი  
რაოდენობითაა სიმწიფის პერიოდის კლერტში.

სიმწიფის პერიოდში ვაზის ნაწილებში თავისუფალ ამინომჟავა-  
თა თვისობრივი შედგენილობა და ურთიერთ შეფარდება ძირითადად  
ერთნაირია. (მეც. მუშაკი მ. სირბილაძე).

შესწავლილია აზოტოვან ნივთიერებათა შეცულობა სხვადასხვა  
ტიპის ქართულ ღვინოებში (ევროპული, კახური, ბუნებრივად ნახევ-  
რადტკბილი, სადესერტო, ცქრიალა), და რომლებიც დამზადდა სხვა-  
დასხვა რაიონში, სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან.

გამოირკვა, რომ აზოტოვან ნივთიერებათა შეცულობით სხვადა-  
სხვა ტიპის ღვინოები ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება. ჩვენ  
მიერ შესწავლილ ევროპული ტიპის ღვინოებში საერთო აზოტი  
95—193 მგ. შორის მერყეობს—ლიტრში, ამინო აზოტი 21—40%  
შეადგენს, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 44—60%, უფრო  
მაღალი შეცულობა ახასიათებს მწვანედან დამზადებულ ღვინოებს.

კახური ტიპის ღვინოებში საერთო აზოტი უფრო ჭარბადაა წარ-  
მოდგენილი 216—245 მგ/ლ ამინო აზოტი, საერთო აზოტის 38 —  
49% -ს შეადგენს, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 43 —  
46%—უდრის.

ევროპული ტიპის წითელ ღვინოებში საერთო აზოტი 208—269 მგ  
შორის მერყეობს—ლიტრში. ამინო აზოტი საერთო აზოტის 31—40%  
შეადგენს, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 52—62%

ნატურალურ ტკბილ ღვინოებში საერთო აზოტი 70—124 მგ აღწევს ლიტრში. ამინო აზოტი საერთო აზოტის 18 — 43% შეადგენს, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 52—86%.

თავისუფალ ამინომჟავათა თვისობრივობა ყველა შესწავლილ ღვინოში ძირითადად ერთნაირია, ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისუფალ ამინომჟავათა ურთიერთ შეფარდებით ამა თუ იმ ტიპის ღვინოში, ევროპული ტიპის ღვინოებში დიდი რაოდენობითაა პროლინი, მას მისდევს ალანინი. შემდეგ გლუტამინის მჟავა: კახური ტიპის ღვინოში ყველაზე მეტია გლუტამინის მჟავა, შემდეგ ალანინი და პროლინი, ბუნებრივად ტკბილ ღვინოებში დიდი რაოდენობითაა მხოლოდ პროლინი, სხვა ამინომჟავათაგან შეცულობით გამოირჩევა ფუჟე ამინომჟავები. გლუტამინის მჟავა მცირე რაოდენობითაა, ხოლო ალანინის მხოლოდ კვალი აღინიშნება.

ქართულ ღვინოებში ადრე უცნობ 13 ამინომჟავის ნაცვლად ნახულია 20 ამინომჟავა: პროლინი, ალანინი, გლუტამინის მჟავა, არგინინი, ასპარგინის მჟავა, ლიზინი, ტრეონინი, ამინო ერბოს მჟავა, სერინი, ვალინი, გლიკოკოლი, ლეიცილი, იზოლეიცილი, ფენილ ალანინი, ტიროზინი, ცისტინი, კ—ალანინი, ნორვალინი და ორი უცნობი ამინომჟავა.

ძველ ღვინოებში ახალ ღვინოებთან შედარებით ყოველთვის ნაკლებია ალანინი (პროფ. გ. ბერიძე, მეც. მუშაკი მ. სირბილაძე).

დადგენილია, რომ დარიშხანის დაგროვებას ღვინოში ახდენს ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური საშუალებანი.

საქართველოს ზოგიერთ ღვინის ნიმუშებში დარიშხანის რაოდენობა 0,4-დან 2,4 მილიგრამამდე მერყეობს, ალკოჰოლური ღვინოს შედეგად ნაწილი დარიშხანისა გოგირდ-წყალბადს გადაჰყავს კოლოიდური დარიშხანად, უკანასკნელს კი საფუერები შთანთქავს და ღვინის დაწმენდის დროს კოლოიდური დარიშხანი მას სავსებით შორდება.

ღვინოში დარიშხანის სიჭარბის დროს, სულფიდის მოქმედებით დარიშხანი გადადის კოლოიდურ გოგირდოვან დარიშხანად, რაც ილექება გაწებვის შედეგად და ღვინო ამ საშუალებით შესამჩნევად თავისუფლდება დარიშხანისაგან. სულფიდის ზემოქმედებით თავისი ფერი ღვინოს უბრუნდება ჰაერაციის შედეგად და იგი თავისუფლდება გოგირდ წყალბადის სუნისა და გემოსაგან (პროფ. გ. ბერიძე). J. Burcard-ისა და W. Wellhect-ის მეთოდი, ჩვენ მიერ შეტა-

ნილი ცვლილებებით, სრულიად გამოსადეგარია ღვინოში დანართის მცირე რაოდენობა მასობრივ კვლევისათვის. 3.3—12% სინესტიო. (პროფ. გ. ბერიძე და დოც. ბ. გერასიმოვი).

ღვინის ქიმიის დარგში დამუშავებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მთელი რიგი აქტუალური საკითხები; გამოკვლეულია ყურძნის ტანიდების ქიმიური შედგენილობა. დადგენილია, რომ მთრიმლავი ნივთიერებანი უმთავრესად კატეხინის რიგის ნაერთებს წარმოადგენენ და შეიცავს დეჰსიდურად შეკავშირებულ ვალის მჟავას, (პროფ. ს. ღურმიშიძე) ვახის მთრიმლავ ნივთიერებათა კომპლექსიდან მიღებულია კრისტალური ნივთიერება კატეხინი, გლო-კატეხინი და კატეხინგალატი. შესწავლილია ტანიდებისა და ანტოციანების ბიოლოგიური თვისებანი. დიდი მუშაობა ჩატარებული ქარვის მჟავას გენეზისის, წარმოქმნის პირობებისა და რეგულირების შესაძლებლობის გამორკვევის მიზნით, ალკოჰოლური დუდილის პროცესში (პროფ. ს. ღურმიშიძე). დადგენილია რძის მჟავას გენეზისი ალკოჰოლური დუდილის პროდუქტთა შორის. დამუშავებულია ენინისა და ენიდინის კვლევის მეთოდი ყურძენსა და ღვინოში (პროფ. ს. ღურმიშიძე).

თეორიულად აქტუალურ საკითხებთან ერთად გამოკვლეულია ბუნებრივი ალკოჰოლური დუდილის ქიმიური მხარის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომელთაც შეეხება პროფ. ვ. ღვალაძის ნაშრომი—„კორელიაცია ალკოჰოლური დუდილის პროდუქტთა შორის“. აღსანიშნავია აგრეთვე, მისი ნაშრომი — „ტკბილსა და ღვინოში არსებულ ორგანულ მჟავებზე“. აღნიშნულ ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული მეცნიერთა ნაშრომები აღნიშნულ საკითხებზე. მთელი რიგი საკითხებისა გადაწყვეტილია ორიგინალურად და საკუთარი ექსპერიმენტების საფუძველზე. შრომაში აღნიშნული მონაცემები მჭიდროდ დაკავშირებულია მეღვინეობის პრაქტიკასთან და დაყენებულია ისეთი საკითხები, რომლებიც მომავალი კვლევის საგნად უნდა გადაიქცეს (პროფ. ვ. ღვალაძე); უკანასკნელ ხანებში ფართო გამოყენება ჰპოვა რადიოაქტიური იზოტოპების და გამოსხივებათა გამოყენებამ სახალხო მეურნეობაში, ეს მეთოდი კვლევის მეღვინეობაში ინტერესს მოკლებული არ არის. ამ მიმართულებით ფართო მუშაობა გაშლილი და მიღებულია მეცნიერული თვალსაზრისით ფრიად საინტერესო მონაცემები. გამასხივებით დამუშავებული პროდუქტი საკმაოდ იცვლის თავის ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს, რაც უფრო მეტია დოზა, მით უფრო მკვეთრად იცვლება



ღვინის ორგანოლეპტიკური და ქიმიური ბუნება. დადასტურებულია რომ ალკოჰოლური დუდილის ენერგია გასხივებულ ნიმუშებში, საკონტროლოსთან შედარებით, უფრო სუსტია და პირდაპირ დამოკიდებულებაშია წინარში გატარებულ სხივის დოზასთან. გასხივების 2—3 თვის შემდეგ ღვინოს დამახასიათებელი თვისებები უბრუნდება, იგი ხდება უფრო მჩატე, ჰარმონიული და ინვიტარებს ძვირფას თვისებებს. ღვინოში თავისი გემოს წარმოქმნის მიზეზი დაქანგვა-აღდგენითი პროცესის შედეგია, რაც აშკარად მტკიცდება გასხივების მაღალი დოზების მოქმედებით (პროფ. გ. ბერიძე და მეცნ. მუშაკი მ. კურდღელაშვილი).

შესწავლილია ორგანულ მყავათა დინამიკა ქართულ საშამპანურ ვაზის ჯიშებში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, ორგანულ მყავებიდან აღმოჩენილია ღვინის, ვაშლის, ლიმონის, გლიკოლის, ქარვის და R-ით მანოლისა და ფუმარის მყავები (ასპ. ფ. ცინცაძე). კახეთის პირობებში, ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით შესწავლილია ორგანულ მყავათა წარმოშობა და გარდაქმნა ვაზსა და ყურძენში ისვრილობიდან სრულ სიმწიფემდე.

შემუშავებულია კვერციტინის და კვერციტრინის განსაზღვრის მოდიფიცირებული ფოტოკოლორიმეტრული მეთოდი. შედგენილია კვერციტრინის გამოთვლის ცხრილები და მოცემულია ვაზის ნაწილებში მისი რაოდენობითი შემადგენლობა (მეც. კანდიდატი თ. კანანაძე). საქართველოს ძვირფას სამრეწველო ვაზის ჯიშების შესწავლის შედეგად ყურძნის შემადგენელ ნაწილებში (ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე) აღმოჩენილია საქაროზა. შესწავლილია სუნთქვის ენერგია და მისი კოეფიციენტი, აგრეთვე ლექიდან გამოყოფილი ენანტის ეთერის ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები (მეც. კანდ. თ. კანანაძე).

მრავალწლიური მუშაობის შედეგად გამოკვლეულია პოლიფენური ნაერთების დაქანგვის მნიშვნელობა და ხასიათი აუტოქსიდანტური არაორგანული კატალიზატორების ქმედების შედეგები დამქანგველი ფერმენტების მონაწილეობით, დაქანგვის და გაზთა ცვლის ხასიათი, აგრეთვე მისი დამოკიდებულება ყურძნის სიმწიფესთან. პოლიფენურ ნაერთთა დაქანგვით გამოწვეული ცვლილებები, ყურძნის წვეწვი დუდილის დროს და პოლიფენურ ნაერთთა ნებისმიერ გარდაქმნის შესაძლებლობა (მეც. კანდიდატი თ. კანანაძე).

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში დაწვრილებით ისწავლებოდა ღვინისა და კონიაკის შემადგენელი კომპონენტები

(პროფ. ა. ლაშხი). დადასტურებულია, რომ აცეტალი სპირტის სძენს სასიამოვნო სუნს. კონიაკის სპირტის დაძველების პროცესში ალდეჰიდებისა და ეთილ ალკოჰოლის ხარჯზე თანდათანობით იზრდება აცეტალი. ძველი კონიაკის სპირტიდან იდენტიფიცირებული იქნა აცეტალის ალდეჰიდი და მოდელური ცდებით გამოკვეთილი იქნა ალდეჰიდისა და აცეტალის როლი კონიაკის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. გამოირკვა, რომ ალდეჰიდის სიჭარბე სპირტს აძლევს სიცხარეს, ჩხვლეტს გემოვნების ორგანოს და აძლევს მას არასასიამოვნო ახალგაზრდა, უხეში სპირტის გემოს. სიძველეში ალდეჰიდი უერთდება სპირტს და იძლევა აცეტალს, რომელიც დადასტურდა აუმჯობესებს კონიაკის სპირტის გემურ თვისებებს და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონიაკის დამწიფებისა და ბუკეთის შექმნისათვის (პროფ. ა. ლაშხი).

